საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთ რევოლიუციო პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

№ 83

კვირა, ნოემბრის 27 1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმეს მწუხარებაში მყოფნი: ცოლი პელაგია, შვილები: ბიძინა მეუღლით ნინა გვასალიას ასული, შალვა, ნინო, ჯუანშერი თამარი და გენო ლამბაშიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ნოემბრის 23-ს ქ. ზესტაფონში უეცრად გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი მეუღლე და უკანასკნელთა საყვარელი მამა

მღ. ქსენაფონტე დავითის ძე
ლამბაშიძე

დაკრძალვა მოხდება ქ. ზესტაფონში წმ. ნინოს სასაფლაოზე ნოემბრის 29-ს დილით სამშაბათს. ვსთხოვთ ყველა ნათესავო, მეგობართ და ნაცნობთ აღნიშნულ დღეს დაგვესწრონ და აწუგეშონ მწუხარებასა შინა მყოფნი. 113

დამწუხარებულნი ძმები: ვახტანგი მეუღლით ვანდა, დავითი და მიხეილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ნოემბრის 23 ს ქ. ზესტაფონში უეცრად გარდაცვლილ მათი საყვარელი ძმის

მღ. ქსენაფონტე დავითის ძე
ლამბაშიძის

დაკრძალვა მოხდება ნოემბრის 29-ს დილით სამშაბათს ქ. ზესტაფონში წმიდა ნინოს სასაფლაოზე.

დაობლებული მეგობრები: ვალიკო ბრეგვაძე, ანდრო სეყვარელიძე, კოწია ლორთქიფანიძე, შალიკო ჩიქვილაძე და ნიკოლოზ აბესაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, ნოემბრის 26, გარდაცვალებიდან ორი წლის შესრულების გამო ქვაშვეთის ეკლესიაში წირვას შემდეგ, გადახდილი იქნება პანაშვიდი დაუვიწყარ მეგობრის

სოფიკო ნიჟარაძისა

## კოოპერაცია და საბჭოთა სისტემა

საკოოპერაციო ბანკის აქციონერთა ყრილობა, ამავე დროს ეგრედ წოდებულ „ცეკავშირი“-ს რწმუნებულთა ყრილობა არსებითად მთელი საქართველოს კოოპერატიულ ძალთა დემონსტრაციაა.

დღეს შეგნებული საქართველო თავის ყურადღებას მიაპყრობს კოოპერაციის მოღვაწეებს და საქართველოს [...]თ ღრმად ჩაფიქრებული მაღლები კოოპერაციიდანაც მოისურვებენ ხორცის და სულის მოოხების კითხვას.

ჩვენ ვიცით კოოპერატიული მოძრაობა საქართველოსთვის უდიდესი საკითხია. თუ საქართველო აღსდგება, აღსდგება კოოპერაციის საშუალებით, კოოპერაციის გზით. კოოპერაციის ხალხი ჩვენი ქვეყნის საგანძურია. ჩვენი ხალხის სიწმინდეა, ჩვენი ხალხის სულის მატარებელია.

სიფაქიზე გვინდა კოოპერაციაში, სიწმინდე. სიყვარული, ჩვენი ეროვნული უანგარო გრძნობების გამომჟღავნება და სამსახური.

ხალხის სიყვარული, ხალხის სამსახური, უმედური მუშის და გლეხის იმედის აღძვრა, გამაგრება, გამხნევება—კოოპერაციის იდუმალი მიზანია.

არასოდეს არ გვიწერია იმდენად თბილად, იმდენად გატაცებით არც ერთს საკითხზე, როგორც კოოპერაციაზე. კოოპერაცია თანხმობა, თანამშრომლობა, მეგობრობა, ამხანაგობაა.

როცა ყველგან ბატონობის, ბრძანების და დამორჩილების გრძნობა იყო, მხოლოდ კოოპერაციის სფეროში არსებობდა წმინდა სიტყვის—„ამხანაგი“-ს ხმარება, ამხანაგურად საქვეყნო საქმის კეთება.

ეხლაც უნდა შევინახოთ ეს ძვირფასი საუნჯე კოოპერაციისა. კოოპერაციისადმი ჩვენ არც ერთი ტლანქი ზომა არ მოგვეპოვება, არც ერთი რეპრესალია, არც ერთი მკაცრი სიტყვა და შეურიგებელი ტონი. Die Erbsünde კოოპერაციისა ეს თბილი ამხანაგური მოტივი და მისწრაფებაა.

დღეს ყოველივე ეს გვაგონდება იმიტომ, რომ კოოპერაციის მდგომარეობა მეტად რთული, მეტად მძიმეა. შეიძლება ყველა კოოპერატორს არც კი მოეხსენება მდგომარეობის ეს სირთულე. ბევრის თავდავიწყებითი პრაქტიკული მუშაობა შესაძლოა ნებას არ აძლევს მათ პოლიტიკური მდგომარეობის ყოველ მახვილის გახსენებას, აწონვა, შეფასებას, მაგრამ დღეს, საკოოპერაციო ყრილობისას ჩვენ ყველა ამხანაგ-კოოპერატორს ჩვენ სწორედ ამ სირთულეს ვაგონებთ.

ყველას ხაზი უნდა (?) დიდი ანგარიში გაუწიოს ამ რთულ მდგომარეობას. ამ ქამად კოოპერაციის „მესამე ელემენტის“ სამეფოა, რომელსაც ბრწყინვალე ისტორია აქონდა რუსეთის ისტორიაში, მაგრამ დღეს „მესამე ელემენტის“ ზრახვანი არ შეიძლება ის იყოს, რაც ახასიათებდა მესამე ძალას რუსეთში.

ჩვენ უკვე ვსთქვით: რთული, ისტორიული მდგომარეობის წინაშე ვართ. რას ნიშნავს ეს?—ეს იმას ნიშნავს, რომ კოოპერაციამ განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიაქციოს იმ დიდ ისტორიულ პირობებს, რომელშიაც იგია ჩაყენებული.

ძირითადი, უმაგალითო ფეხა-ცვლაა ცხოვრებაში. ყველაფერი შეიცვალა და იცვლება. ობიექტიურ და სუბიექტიურ პირობებს კოოპერაციამ შეუძლებელია ანგარიში არ გაუწიოს. კოოპერაცია დიდი რეალობაა, იქ არავითარი ადგილი არ აქვს უტოპიას, განყენებას, რაიმე აბსტრაქტულ მიზნებისათვის მუშაობას.

სამწუხაროდ, ჩვენს კოოპერაციაში დღეს ამ რეალურ მიზნებს ნაკლებად ვხედავთ. როცა ცეკავშირის მუშაობის წესრიგი წავიკითხეთ—ჩვენ შიშმა შეგვიპყრო: ნუ თუ კოოპერაციაში საქმრო იქნება „ბურჟუაზიის“ შეტანა, ნუ თუ კოოპერაცია გახდება ტახის, დატანების, „ფიზიკურ“ შეხლა-შემოხლის სარბიელი.

ეს აზრები დაგვებადა იმიტომ, რომ კოოპერაცია არაფერს ამბობს იმ ისტორიულ მოვლენებზე, რომელიც მის გარშემო ხდება, რაც მის ირგვლივ არის, როცა კოოპერაცია მუდამ ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას, თავის მრწამს ძირითად სახელმწიფოებრივ საკითხებზე.

ჩვენში კოოპერაცია და სახელმწიფო სხვა და სხვა სამეფო არ არის. ოცნება კოოპერატიული მოძრაობა სახელმწიფოებრივ მშენებლობის გარეშე. ეს ორი ძალა უნდა გადაეჯაჭვოს ერთი მეორეს, ამ ძალთა შორის აუცილებელი მეგობრული კავშირი უნდა სუფევდეს, მათში აუცილებელია სრული ნდობა და საერთო საქმისათვის საერთო თანამშრომლობა.

ცეკავშირის ჟურნალში „კავშირში“ ერთგვარი „დეკლარაციაა“ გამოცხადებული, სადაც მთავარი მომენტი აღნუსხავს კოოპერაციის დამოუკიდებლობას. ეს ოკრძალებით გამოთქმული აზრი იმდენად სუსტი, უსაფუძვლო და უშინაარსოა, რომ მისი გამომჟღავნება გაბედულად ავტორსაც ვერ მოუხერხებია. კოოპერაციის დამოუკიდებლობა დღეს არც შეიძლება, არც საჭიროა. არ არის საჭირო იმიტომ, რომ პრინციპიალურად არც ერთი სისტემა ისე ახლოს არა სდგას კოოპერაციის თეორიასთან და პრაქტიკასთან, როგორც მაგალითად საბჭოთა სისტემა, ეს საფუძველი თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოებრიობისა. საბჭოთა სისტემა მუშათა და გლეხთა ძალაუფლებაა, მშრომელი ხალხის დიქტატურაა, ესე იგი ის სისტემაა, რაც თვითონ კოოპერაციას ასულდგმულებს. განა შეიძლება ამ სისტემისადმი კოოპერაციის „დამოუკიდებლობა“? ეს იქნება გარიყვა და „დამოუკიდებლობა“ თვითონ ხალხიდან, თვითონ ქვეყნიდან, ესე იგი არსებითად უარყოფა კოოპერატიული პრინციპებისა.

ჩვენ არ ვიცით შესძლებს თუ არა თვითონ ყრილობა ცეკავშირის გამგეობის მარცხის გამოსწორებას. არ გვგონია, რომ ყრილობაზე ამ ძირითადმა საკითხმა ყურადღება არ მიიქციოს, ის არ გახდეს ფიქრის და ზრუნვის საგანი ჩვენ ღრმად გვწამს: კრიტიკაც რომ არ დაიძრეს ამ სისტემაზე, იგი ყოველ კოოპერატორის გულის სიღრმეში იქნება ჩანასკული და დღეს თუ არა ხვალ უნდა გაიშალოს.

მეტად სამწუხარო დარჩება, რომ ეს დღეს არ ითქვას; ყველაფერი არ გამოაჟღავნდეს ყრილობაზე. ამითაის მოხდება, რომ სათქმელი გულში დაიგუბება, ბოლმა დაგროვდება და ვაი თუ გადმოხეთქოს მან ტლანქად და ცუდად! ამიტომ ეს საკითხი ეხლავე უნდა დაისვას, ეხლავე უნდა გაირკვეს.

კოოპერაციას არ შეუძლია არავითარ შორეულ მიზნებს ჩაუდგეს, კოოპერაცია დღის პრობლემაა, იგი შეუწყვეტელი შემოქმედებაა, ერთი დღის სიჩუმე—მისი სამარეა. ამიტომ თავიდანვე მან უნდა შექმნას ნაყოფიერი თავის მუშაობის ნორმალური პირობები, მან კონტაქტი, არა მარტო პრაქტიკული, პრინციპიალური კონტაქტი დაიჭიროს საბჭოთა სისტემის ძალასთან, უარყოს თავისი „დამოუკიდებლობა“ და ძმური ამხანაგური თანამშრომლობით წავიდეს წინ ქართველი ხალხის და საქართველოს კეთილდღეობისაკენ.

თედო ღლონტი.

## საბჭოთა არჩევნები

შეერთებულმა სხდომამ საქ. რევკომისა, კომუნისტური პარტიის ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტების პრეზიდიუმებისამ დაადგინა შეუდგნენ სამზადისს ტფილისის მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოს არჩევნებისათვის, რისთვისაც სათანადო კომისიაც იქმნა არჩეული. ჩვენი აზრი საბჭოთა არჩევნების დაჩქარების მნიშვნელობაზე საქართველოს მუშისა და გლეხისათვის დღევანდელ პოლიტიკურს მომენტში უკვე მოეხსენება მკითხველს და საჭირო არ ვსთვლით დეტალურად გავიმეოროთ გამოთქმული მოსაზრებანი. ჩვენ აქ ვილაპარაკებთ უმთავრესად ტფილისის საბჭოების არჩევნებზე; თუმცა უნდა ითქვას, რომ ზოგადი საფუძვლები მთელი საქართველოს მუშათა და გლეხთა საბჭოების სისტემის შემოღების სასარგებლოდ ერთნაირად შეეხება ტფილისის საბჭოების არჩევნების გარდაუვალობასაც.

და ამ მხრივ ჩვენც დაგვჭირდება ნათქვამის გამეორება საქართველოს პროლეტარიატისა და გლეხობას დღემდის უხდება თვისი მოქმედების გამომჟღავნება არაჩვეულებრივ და წარმავალ სახელმწიფოებრივ ორგანოების საშუალებით. მას ჯერ არ აქვს დაწმენდილი სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, რომელიც მასსებს ჩააბამს სახელმწიფო აღმშენებლობაში. ამიტომ ქართველი მუშისა და გლეხის თვითმოქმედება შეზღუდულ-შემოფარგლულია, მას სჭირია ისეთი სახელმწიფოებრივი აპარატი, რომელიც მის რევოლიუციურ შემოქმედებას გაშლის და იმავე დროს უზრუნველჰყოფს მის პოლიტიკურს ვითარებას ყოველგვარ შემთხვევითი და გაუთვალისწინებელი ელემენტისაგან. სახელმწიფო ორგანიზმი კი მაშინ იქნება მტკიცე და ურყევი, როცა იგი მუშაობის პროცესში ორგანიულად იქნება დაკავშირებული მშრომელ მასსებთან, როცა იგი დემონსტრაციის ცხოველმყოფელ წყაროდან მიიღებს ახალ ახალ პოლიტიკურად გამაცოცხლებელი ნაკადებს, დაუშრეტელს ენერგიას.

რომელია ასეთი ფორმა სახელმწიფოებრივი სისტემისა?—მუშათა და გლეხთა საბჭოები არის ერთად ერთი ფორმა ასეთი სახელმწიფოებრივი მექანიზმისა, რომელშიაც ნახულობს იგი თავის კლასიური ნების გამოთქმას; მაგრამ ცხადია საქართველოს და კერძოთ ტფილისის მუშათა კლასი ვერ შეურიგდება ისეთს საბჭოებს, რომელიც არ გამოხატავს მის პოლიტიკურს დიქტატურას, მის კლასობრივ ბატონობას შინაარსითაც. თორემ ჩვენ ვიცნობთ მუშათა და გლეხთა საბჭოებს ჩხეიძე-კერენსკისას, გავიცანით მილიუკოვების „ძარგი ს ბჭოებიც“ რომელთაც დაგვიმტკიცეს მხოლოდ, რომ მუშათა კლასის მოსატყუილებლად ხშირად პოლიტიკურს თვალთმაქცობასაც მიჰმართავენ ბურჟუაზიულს პლატფორმაზე მდგომი კლასები. მშრომელი კლასის დასამარცხებლად ზოგჯერ ბურჟუაზიამ ახალი ქურქი წამოისხა, კანი გამოიცვალა, რომ ამ გზით მაინც დაემსხვრია ის ისტორიულად მოცემული რევოლიუციონური სახელმწიფოს ფორმა, რომელსაც მუშათა და გლეხთა საბჭოები ეწოდება. მაგრამ სოციალისტური დემოკრატია მაცდუნების მახეში არ გაება და კარგად შეიგნო, რომ ვინც დიდი ტკივილით კანი გამოიცვალა, მას ერთი წუთსაც კი არ უფიქრია გულის გამოცვლაზე; და განა შეეძლო მილიუკოვებს მუშათა და გლეხთა პოლიტიკურს ჩონჩხისათვის ბურჟუაზიული შინაარსი არ მიეცათ, რომ ეს ჩონჩხი თვისი სისხლითა და ხორცით შეემოსათ? ჩხეიძე-კერენსკის საბჭოებიც ისე, როგორც ჟორდანია რამიშვილის საბჭოები, აშკარა გარყვნა იყო მუშათა კლასის ამ პოლიტიკურს სისტემისა. მუშათა კლასის რევოლიუციონური მოქმედებისა და ბრძოლის იარაღს—მუშათა საბჭოებს, წაართვეს მენშევიკებმა ჩვენში ეს მისი ბუნებრივი, საკუთარი კლასობრივი თვისებანი; უკეთ რომ ვსთქვათ მუშათა და გლეხთა საბჭოები მენშევიკებმა ჩვენში გაახარცეს და მოსპეს ყოველივე, რაც ისტორიულად მის დანიშნულებას შეადგენდა.

აქედან ჩვენთვის ცხადია, თუ როგორი საბჭოების შედგენის მომხრე უნდა იყოს სოციალისტი და რევოლიუციონერი საქართველოში. მუშათა კლასს და გლეხობას უნდა ესმოდეს, რომ საბჭოები მისი გარდამავალი პოლიტიკური ფორმაა და რამდენადაც ეს ასეა, იმდენად რევოლიუციონური სიმტკიცისა და გაუტეხელი ნების მატარებელი საბჭოები უნდა აირჩიოს მან, თუ კი მას უნდა კაპიტალისტურს მექანიზმს მშრომელი კლასის ინტერესების გამომხატველი სახელმწიფო დაუპირდაპიროს. ამ მხრით ტფილისის მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოების არჩევნებს ექნება უდიდესი და თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობაც მთელს საქართველოში. წითელი ტფილისი რევოლიუციონური საქართველოს პოლიტიკური ფოკუსია და ამითაც აიხსნება, რომ პირველი საძირკველი მშრომელთა სახელმწიფოისა ტფილისში იყრება მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოების არჩევნების სახით. ჩვენ გვინდა ტფილისის ბედს განაგებდეს დარაზმული და გამძალტყავებული მუშათა კლასი არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენ ვართ რევოლიუციონერები, არამედ იმიტომაც, რომ ჩვენ ვართ ქართველები. ტფილისის უდიდესი ნაწილი უმეტესად ქართველებისგან შესდგება. თუ კი ჩვენ გვექნება ნამდვილი მუშათა არჩევნები, უნდა ვიგულისხმოთ, რომ საიმედო პირისუფალი გაუჩნდება არა მარტო რევოლიუციონურს ტფილისს, არამედ ქართულს ტფილისსაც. თორემ ჩვენი საქმე წინ არ წაიწევს, თუ კი საქართველოს გულში—მუშურ ტფილისში ვერ დივინახავთ ქართველი მუშის გავლენას, ქართველი მუშისგან შექმნილ პროლეტარულს კულტურას.

საბჭოების სახით ტფილისმა უნდა განიცადოს სრულიად ახალი, ჯერ არ ნახული პატრონის ძლიერი გავლენა, მან უნდა სთქვას გარკვევით, რომ მისი სვე-ბედის მესაიდუმლე ქართველი მუშაა უმთავრესად, რომ მის პოლიტიკურს იალქანს მიაცურებს ეროვნული სიყვარულით გამთბარი რევოლიუციონური ქართველი დემოკრატია. საბჭოთა არჩევნების მეორე დღესვე ტფილისმა მოყვარული შვილის ხელით ეროვნული შარავანდედი თავს დაიდგას.

საბჭოთა არჩევნების მეორე დღესვე უნდა გავიგოთ, რომ ტფილისი საქართველოს მუშათა კლასის და მთელი მისი მშრომელი უმრავლესობის დედა ქალაქია არა მარტო სიტყვით, საქმითაც სინამდვილეში.

ტფილისის მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოების არჩევნებით საქართველოს მშრომელი დემოკრატია იწყებს რევოლიუციონური სახელმწიფოს აგებას, ამიტომ მას შეშვენის დამშვიდებული და დინჯი გონებით გაითვალისწინოს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური პირობები და მხოლოდ შემდეგ სთქვას თავისი ავტორიტეტული ხმა მთელი საქართველოს გასაგონრად. ჩვენი სამშობლოს ყველა ქალაქები და კუთხეები უცდიან, თუ რას იტყვის მისი წინამძღოლი—ტფილისის მუშათა კლასი რევოლიუციონური საქართველოს აწმყოსა და მომავალზე.

შესაძლებელია რევოლიუციისა და მაშასადამე საბჭოთა სისტემის მოწინააღმდეგე ელემენტებმა ორში ერთი გზა აირჩიონ მუშათა კლასის სახელმწიფოს შექმნის შესაფერხებლად: 1. მათ შეუძლიათ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ და საბჭოებში კონტრ-რევოლიუციონური ოპოზიციის შექმნით რევოლიუციონური შემოქმედების ბორბალის ტრიალი შეაჩერონ. 2. მათ შეუძლიათ მოუწოდონ მუშათა კლასს, რათა მან საბოტაჟი გამოუცხადოს საბჭოთა არჩევნებს.

თუ კი რევოლიუციის მოწინააღმდეგეთაგან იქნება ბრძოლის პირველი ტაქტიკა, მუშათა კლასი და წითელი არმია მას გაუწევს სათანადო ანგარიშს და მათი გაშავებით საშუალო მოდ ფარდას ახდის რევოლიუციის ფაქტიურ მტრების ფარდას.

მაგრამ ჩვენის აზრით უფრო ანგარიშ გასაწევია ტფილისის მუშათა კლასისათვის ბრძოლის მეორე ტაქტიკა: თუ კი მენშევიკებიდან დაწყებული და წვრილბურჟუაზიულ სოციალისტებით გათავებული საბჭოთა სისტემის მოწინააღმდეგენი არჩევნების დროს კონტრ-რევოლიუციონურ ჩუტ-ჩუტით მოისურვებენ მუშათა კლასის გადაბირებას და ეტყვიან მას: ბოიკოტი არჩევნებსო. განსაკუთრებით მაშინ დასჭირდება ტფილისის მუშათა კლასს გონებრივი წინდახედულება, რომ იგი აიკეს არ წამოეგოს და რევოლიუციისა და სამშობლოს მტრების ბანაკში არ მოხვდეს. ახლო წარსულის პროვოკაციას ჯერ სავსებით თავისი გავლენა არ დაუკარგავს და ამიტომაც ამ მეორე შემთხვევაში დასჭირდება განსაკუთრებული სიფხიზლის გამოჩენა ტფილისის პროლეტარიატსა და წითელს არმიას.

საბოტაჟი საბჭოთა არჩევნებისადმი, გონიერი ადამიანი დაგვეთანხმება, საბოტაჟი იქნება არა მარტო რევოლიუციონური ტფილისისადმი, არამედ ქართულ ტფილისისადმიც. მენშევიკურ გავლენას უფრო მეტად ქართველი მუშათა კლასი განიცდიდა და საბოტაჟის მავნებლობის მთელს სიმწვავესაც ქართველი ერი მოიმკის. ამიტომ არაჩვეულებრივად შეებრძოლება სოციალისტური მუშათა კლასი ბრძოლის ასეთს ტაქტიკას თუ კი მას ადგილი ექნება ჩვენი ქალაქის საბჭოთა არჩევნებში ყოველივე ეს უნდა გაითვალისწინოს რევოლიუციონური სიბრძნით ტფილისის პროლეტარიატმა და სთქვას: ტფილისი გულია საქართველოს რევოლიუციისა, იგი დარჩება ასეთად მყობადშიაც; ტფილისი მაგალითი იქნება თავის რევოლიუციონური ორგანოებით მთელი ამიერკავკასიისაც. ტფილისის სოციალისტური მეურნეობა, ეკონომიური ორგანიზაცია, მუშათა თვითმოქმედების გამომხატველი ორგანოები უნდა ნიმუში შეიქმნეს არა მარტო კავკასიისათვის რევოლიუციის მეგზურის როლით. ჩვენი მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოების არჩევნებში დაამტკიცებს ყოველივე ამას მშრომელთა საქართველოს დედა ქალაქი.

მფ. ხარინოელი.

## ახალი ამბები

— ქუთაისის სამაზრო რევკომში, ქუთაისის სამაზრო რევკომის დადგენილებით ქუთაისის სახ. მეურნეობის საბჭოთა და კომუნალური მეურნეობა გაერთიანებული იქმნა ერთ ეკონომიურ განყოფილებაში, რომელიც განიყოფება შემდეგი ქვე-განყოფილებებით: 1.—საწარმოო; 2.—არქიტექტორულ—აღმშენებლობის; 3—საცინაო—აგრარული; 4.—მომარაგების და 5.—ფინანსიური. ეკონომიურ განყოფილების სათავეში სდგას გამგე და კოლეგია—ორ ორი წარმომადგენელი რევკომისა და საბჭოთა პროფ.-კავშირისაგან. ეკონომიურ განყოფილებას განაგებს პრეზიდიუმის წევრი სამაზრო რევკომისა ამხ. ადეიშვილი.

— ავტომობილების მიმოსვლა ქუთაის-ლეჩხუმის მაზ. შორის. ახლო მომავალში მოეწყობა ფასიანი მიმოსვლა ავტომობილებისა ქუთაის-ლეჩხუმის მაზრის შორის. ავტომობილები ივლის კვირაში ორჯერ.

— **განათება ქუთაისში.** ქუთაისში არსებულ 410 ძალიან ელექტრო—სადგურში მუშაობს მხოლოდ 140, რის გამო უმრავლესობა სახლებისა რჩება განათების გარეშე. პირველ საბჭოთა ელექტრო სადგურში დიდი, 200 ძალ. მანქანა არ მუშაობს მანქანის ზოგიერთ ნაწილის უქონლობისა გამო. მეორე საბჭოთა ელექტრო სადგურში 70 ძალ. მანქანას უკეთებენ რემონტს და ამ დღეებში ამოქმედდება. მანქანის ნაწილებს მოელიან ტფილისიდან.

— **მოსავალი სენაკის მაზრაში.** გამოირკვა, რომ სენაკის მაზრაში ამ წელს ცუდი მოსავალია სიმინდისა, ღვინოსი—კარგი, თამბლის საშუალოზე ნაკლები.

— **საარქეოლოგიო საზოგადოებაში.** ორშაბათს 28 ნოემბერს საღამოს 7 საათზე საქართველოს მუზეუმის დარბაზში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 10) მოხდება საარქეოლოგიო საზოგადოების წევრთა მორიგი საჯარო კრება; მოხსენებები: 1) ლეონ მელიქსეთ-ბეგისა „კულტურულ ტრადიციების ურთიერთობა სომეხთა და ქართველთა შორის უძველეს დროიდან მე-VII-ე საუკუნის დამდეგამდე“ და 2) დიმიტრი გორდეევისა „მღვიმის ჩუქურთმით გამოკრილი კარი“.

## პარტიაში

დღეს 12 საათზე დანიშნულია მთავარ კომიტეტის სხდომა გაზ. „ტრიბუნის“ რედაქციაში. დასწრება სავალდებულოა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

ბუქარესტიდან იუწყებიან, რომ კოროლის ტახტზე ასვლა, რომელიც დანიშნული იყო სექტემბრის 27-თვის, გადადებულ იქმნა გამოურკვეველ დრომდე, ვინაიდან ავერესკუს კაბინეტს ეშინოდა ოპოზიციურ პარტიისა, რომელიც მოითხოვდა კოალიციურ მთავრობას და კოროლის ტახტზე ასვლის დროს ფიქრობდა მთავრობის წინააღმდეგ დემონსტრაციის მოწყობით სარგებლობას.

სამინისტროს თავმჯდომარე ავერესკუ სხვა და სხვა ქალაქებში ამბობდა სიტყვას და უცხადებდა ომს მანიის და ბრატიანის ოპოზიციურ პარტიას, აგრეთვე სცდილობდა იმის დასაბუთებას, რომ მთავრობის შეცვლა ზედმეტია, რაზედაც ცხოვრებთა უმრავლესობა არაა თანახმა. („დეიტჩე ალგემეინე ცეიტუნგი“).

—

პრაგა-ჩეხიის გაზ. „ბოგემია“-ს კორესპონდენტი, რომელიც გაგზავნილი იყო ზემო სილეზიაში, საფრანგეთის და მის ყურმოჭრილ მონასი — პოლონეთის მშვიდობიან შეთანხმებულ მუშაობის შესახებ სწერს: ზემო სილეზიში ერთ დღის მგზავრობამ დამარწმუნა, რომ ფრანგებმა გაითამაშეს პოლონელებთან, დაჰქონდათ ყელზე თეთრი არწივი, გლეივიცის მახლობლად პოლონელები დებულობდნენ საქმეს ფრანგულ სამხაზოებულოდან, ფრანგები ამარაგებდნენ პოლონელებს ცეხხინით და ავტომობილებით. ამის შესახებ ყველაფერი იციან ზემო სილეზიაში, მაგრამ ჩვენთვის, ჩეხელებისათვის, ეს ახალი ამბავია.

როდესაც მოვიდა ზემო სილეზიაში ინგლისელი კომისარი გორალდი სტიუარტი, ფრანგები ვითომ ცოტა შეწუხდნენ, მაგრამ ფაქტიურად ზემო სილეზიის ბედი სრულიად საფრანგეთის იმპერიალისტების და კაპიტალისტების ხელშია. („დ. ალ. ცეიტ.“)

—

რეინის პროვინციაში, საოკუპაციო ოლქში, საფრანგეთის ჯარების დაბანაკებით გამოწვეული მძიმე მდგომარეობა ელემენტებს ყოველგვარ შესაძლებლობას. აი რა არის საჭირო თითოეულ ფრანგ ჯარისკაცისათვის თანახმად მიწერილობისა ამა წლის 17 ივნისიდან: „კრესლო, ბუფეტი, ორი მაგიდა სადილისათვის, პატარა რგვალი მაგიდა, ხონი, სხვა და სხვა საინები და სხვა ჭურჭლეულობა, 6 „ჩვეულებრივი“ ჭიქა, ექვსი ღვინისათვის, ექვსი შამპანიურისათვის, ექვსი ლიქიორისათვის და მრ. სხ.“ აქედან სჩანს, საფრანგეთის ბურჟუაზიული გენერლები თუ როგორ ზრუნავენ იმისათვის, რომ მათ სალდათებს შეეძლოთ მთვრალობა. („დ. ალ ცეიტუნგი“)

—

ფოკიოული (ჩინეთი) გაზეთი ამბობს: ინდო-ჩინეთში საბჭოების შესახებ იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა წამოაყენოს კიდევ ორი დამატებით საკითხი განსახილველად ვაშინგტონის კონფერენციაზე. აი ეს საკითხები: 1. თანაბარი ერთნაირ სავაჭრო უფლების მიღების შესახებ ავსტრალიასთან. 2. საფრანგეთ-იაპონიის ლავა ინდო-ჩინეთში ბაჟების აკრეფის შესახებ. ამავე დროს, უკანასკნელი ცნობების თანახმად, ლლოიდ ჯორჯს კიდევ არა აქვს გადაწყვეტილი, წავა იგი ვაშინგტონის კონფერენციაზე თუ არა. ჯორჯი სდგას პირისპირ ირლანდიის და უმუშევრობის საკითხებთან. გამოურკვეველია, რამდენ ხანს გააგრძელებს მუშაობას პარლამენტი ოქტომბრის 18 ს გახსნის შემდეგ, ამიტომ ხდება ასეთი თავშეკავება ვაშინგტონთან დამოკიდებულების გადაწყვეტაში.

—

**შანხაი.** ოქტომბრის 7. ჩინეთმა უარყო იაპონიის წინადადება შანტუნის შესახებ და მოითხოვს დაუყონებლივ ოლქის დაბრუნებას. ჩინეთი იტოვებს უფლებას დამოუკიდებლად მონახოს გამოსავალი შესაფერ შემთხვევის შექმნისთანავე.

**ნიუ-იორკი.** ჩვენ გავიგეთ, რომ იაპონიის მოლაპარაკება ციმბირში ჩიტას მთავრობასთან საბოლოოდ შეჩერებულია. ეს მოასწავებს იაპონიის ჯარების ციმბირში დარჩენას.

## უცხოეთი

მოსკოვი ნოემბ. 22 რომიდან განდევნილ ფაშისტებმა გამოაცხადეს სამშვიდობო ხელშეკრულება გაუქმებულად, რომელიც დადებულ იქმნა სოციალ შეთანხმელთა მიერ დატოვეს რა რომი, ფაშისტებმა დაიწყეს ენერგიული მუშაობა პროვინციაში პროლეტარულ ორგანიზაციების აჯანყებისათვის თავდასხმები ხდება მუშა კომუნისტებს და უბრალო მოქალაქეთა მკვლელობით. იწყება დაშლა მეფის გვარდიისა, გვარდიელები პროტესტს აცხადებენ ამხანაგების დატუსაღების გამო. პროტესტი თავდება განცხადებით: თუ ჩვენი ამხანაგები იქნებიან დასჯილი, ამისათვის პასუხს აგებენ „ფაშისტების წინამძღოლები—თვით მთავრობა ნოემ. 17 რომში მოხდა გრანდიოზული დაკრძალვა ფაშისტების მიერ მოკლულ მუშების.

ნაუენი 21 ნოემ. რაიხსტაგის დეპუტატ კომუნისტებმა მიმართეს იუსტიციის მინისტრს დატუსაღებულ კომუნისტების განთავისუფლების შესახებ, რომლებიც ღებულობდნენ მონაწილეობას მარტის აჯანყებაში. იუსტიციის მინისტრმა, რომელიც ეკუთვნის უმრავლესობის სოციალისტებს, განაცხადა, რომ ის არ სთვლის თავს მოვალედ გაანთავისუფლოს კომუნისტები, რომლებმაც „უნდა მოიხადონ სასჯელი“ თავის საზიარო საქმეებისათვის ამით უკმაყოფილო კომუნისტებმა მოაწყვეს ობსტრუქცია და არ აძლევდნენ ლაპარაკის საშუალებას მინისტრს, მინისტრ სოციალისტი სცდილობდა სიტყვით გავლენა მოეხდინა დეპუტატებზე, რომ მასზე არავითარ შთაბეჭდილებას არ მოახდენს დეპუტატების დემონსტრატიული გამოსვლა და არ დაიხევს უკან არც ტუსაღთა მიერ სამშილობის გამოცხადებით. უწესრიგობამ და ხმაურობამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ თავმჯდომარე იძულებული შეიქნა დაემუქრნა სხდომის დახურვა. იუსტიციის მინისტრმა დაამთავრა თავისი სიტყვა შედარებითი სიჩუმეში, სადაც სთქვა: მანამ, სანამ „უკიდურეს მემარცხენეები არ დასტოვებენ ძალადობის გზას, სახელმწიფო ხელისუფლებას არ შეუძლია უარი განაცხადოს რეპრესიულ სისტემაზე.

უწესრიგობანი მოხდა აგრეთვე პრუსიის ლანდტაგში იმავე მიზეზით. ლანდტაგის წევრ კომუნისტმა წაგლიჯა თავმჯდომარეს ზარი. სოც.-დემოკრატები დაემუქრენ კომუნისტებს, საქმე მივიდა ხელჩართულ შეტაკებამდე სოც.-დემოკრატებს და კომუნისტებს შორის. ამ დროს დარბაზის დერეფანზე იყო ხალხი, სადაც დიდი უმრავლესობას კომუნისტები შეადგენდნენ, რომელნიც ყვირილით მხარს უჭერდნენ ამხანაგ კომუნისტს დეპუტატებს. კომუნისტები ყვიროდნენ: „გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს, გაუმარჯოს საბჭოთა მოსკოვს“. უწესოების შესაწყვეტად და აშკარა ანტიმთავრობრივ დემონსტრაციისათვის ლანდტაგის თავმჯდომარემ სხდომა დახურა.

**პარიზი,** ნოემ. 19 „ტანი“ სპეციალურ წერილს უძღვნის საფრანგეთ-ოსმალეთის შეთანხმების წინააღმდეგ მიმართულ ბრიტანეთის საპროტესტო ნოტას. „ტანი“, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ კილიკიის ევაკუაცია გათვალისწინებულ იქმნა სევრის ხელშეკრულებით, რომლის ძალით კილიკია მიეწერა ოსმალეთს. რა რიგად, კითხულობს გაზეთი, სურთ ერთ დროს განახორციელონ სევრის ხელშეკრულება ცხოვრებაში და ამავე დროს ემდურონ საფრანგეთ ერთა სპუნქტთაგანის შესრულებაში. ფაქტები გვაჩვენებენ, რომ მხოლოდ საფრანგეთს ყავს აღმოსავლეთში ძლიერი არმია. საფრანგეთ-ოსმალეთის წყალობით საფრანგეთს იმედი აქვს შეამციროს ჯარი 25,000 კაცამდე. „ტანი“ აღნიშნავს, რომ საფრანგეთისათვის ძვირფასია ქრისტიანების ინტერესები აღმოსავლეთში და იგი ყოველთვის მზათაა დაიცვას უძლურთა მოთხოვნილებანი. საფრანგეთი აღმოსავლეთში პირადად არაა დაინტერესებული იგი თხოულობს მხოლოდ სამხედრო გარანტიას, რომლის ძალით უზრუნველყოფილი იქნება ქრისტიანთა უმცირესობა. სამხედრო გარანტია კი იწვევს პოლიტიკურ გარანტიის აუცილებლობას, იმიტომ რომ გასულ წლის ცდა გვიჩვენებს რამდენი ოსმალეთის ქრისტიანის სიცოცხლე დაჯდა არსებული წესიერება. „ტანი“ ათავებს წერილს შემდეგით: იმის მაგიერ, რომ უსაყვედურონ საფრანგეთს ხელშეკრულების ოსმალეთთან დადებით, უნდა გამოიკვლიონ, რამდენი ბატალიონი ამერიკელების, ინგლისელების და იტალიელების მზათაა მცირე აზიაში წასასვლელად.

**ნაუენი.** 20 ნოემ. ინგლისის პროტესტის საპასუხოთ საფრანგეთი აღნიშნავს, რომ მან მიაღწია გარანტიას ოსმალეთის ნაციონალისტებისაგან უმცირესობის უფლებათა დასაცავად, რაც დღემდე მოკავშირეებმა ვერ შესძლეს.

## ს. ციციშვილის ხსოვნას

ნოემბრის 13, დილის 10 ს. გაფრენის დროს დაიღუპა სამხედრო მფრინავი ს. ს. ს. რესპუბლიკის საჰაერო ფლოტის საავიაციო ესკადრილისა იოსები ციციშვილი.

კატასტროფის მიზეზი, სამწუხაროდ, არაა გამორკვეული. აპარატი დაეცა სრული მომუშავე მატორით, პერპენდიკულიარული ხაზით, კუდ ზევით (სრული „პიკე“) და იმავე წუთს დაიწვა ბენზინით. მფრინავი დაიმტვრა დაცემის უმალ. დაცემა, იყო ისეთი ძლიერი, რომ მატორი მთლად წავიდა მიწაში.

ი. ციციშვილი შევიდა საავიაციო სკოლაში 1918 წლის სექტემბერში. პრაქტიკულ ვარჯიშობის დაწყებისთანავე ციციშვილმა გამოიჩინა სპეციფიური უნარი ფრენაში და პირველ შეგირდით დაამთავრა სკოლა. მიიღო რა „სამხედრო მფრინავის“ წოდება, სოსო ციციშვილი დიდის აღფრთოვანებით შედგა საყვარელ საქმეს და მიდიოდა წინ დიდის წარმატებით. გაიარა ძირითადი სტაჟი დივიზიონში არსებულ ყველა აპარატებში და შესძლო ჩინებულად გავლა „საჰაერო აკრობატი“-ს კურსისა. მისი პეტლები, ტრიალი და გადავრენა იყო ცნობილი, როგორც კლასიკური. აკრობატიკის უძნელესი ნომერი „ტონნო“ გამოუდიოდა მას იშვიათ სიმსუბუქით. სოსო იყო მფრინავი, აღჭურვილი არაჩვეულებრივ ღირსებით, ის იყო ბუნებით პილოტი, პილოტი დაბადებით.

მაგრამ ულმობელი ბედისწერა, ავიაციის მეფე მოუთმენლად უცდიდა თავის მორიგ მსხვერპლს და ციციშვილიც გაქრა რამოდენიმე წუთის განმავლობაში. ამ სტრიქონის დამწერს იშვიათად უნახავს ის შ აბეჭდილება, რომელიც მოახდინა ამხანაგებზე სოსოს დაღუპვამ. უმთავრესად ეს იმიტომ, რომ სოსო იყო მფრენავი სამაგალითო უნარისა, აგრეთვე სინიდისიერი და კეთილშობილი ადამიანი. ყველამ იცოდა სამხედრო მფრინავი სოსო ციციშვილი, როგორც ყველასათვის სათნო და საყვარელი პიროვნება, სადაც მხიარულება თამაშია—იქ აუცილებლად მხურვალე მონაწილეობას იღებს სოსო! სადაც მწუხარებაა და უსიამოვნობა—სოსოც იქაა თავისი სიმპატიურ სახით და დამოკიდებულებით! მიუხედავად ცხოვრების მძიმე პირობებისა და მოწყობილობის, სრული ახალგაზრდობა, ჯანსაღი ბუნება არ სტოვებდა სოსოს.

ს. ციციშვილის საფრინაო უნარმა და ამხანაგებთან დამოკიდებულებამ შეუქმნა მას პატივი და სახელი საყვარელ ადამიანის და იდეალურ ამხანაგის.

დაიღუპა საუკეთესო მფრინავი და ამხანაგი!

საუკუნო სახელი და საუკუნო ხსენება შენ, ძვირფასო ამხანაგო და მეგობარო სოსო. შენი სახელი აღბეჭდილი იქნება ავიაციის მტრედისფერ დაფაზე ოქროს ასოებით და შენახული ჩვენს ამხანაგების გულის სიღრმეში. ჩვენში წარუშლელი იქნება ხსენება მშობელ ავიაციის სიმაყის—სამხედრო მფრენავის—სოსო ციციშვილის.

უკანასკნელი სალამი და ძმური მშვიდობა შენ, ამხ. სოსო, ყოველთვის ერთგულ და მოსიყვარულე შენი ამხანაგ მფრინავებისაგან.

მფრინავი ამხანაგები.

## დეკრეტი № 80

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა კერძო გამომცემლობის შესახებ.**

1. ნება დაერთოს საზოგადო ორგანიზაციებს, საგამომცემლო ამხანაგობათ და არტელებს აწარმოონ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე წიგნებისა და ბეჭვდითი ნაწარმოებთა კერძო გამომცემლობა.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული ორგანიზაციები კერძო გამომცემლობის წარმოებისათვის ნებართვას მიიღებენ განათლების სახალხო კომისარიატისაგან, რომელიც ყოველ ცალკე შემთხვევაში ამტკიცებს ამა ორგანიზაციების წესდებას.

3. კერძო გამომცემლობის წარმოებას კონტროლს გაუწევს განათლების სახალხო კომისარიატი, რომელიც ამისათვის განსაკუთრებულ წესებს შეიმუშავებს.

4. განათლების სახალხო კომისარიატი ვალდებულია შეიმუშაოს სათანადო დებულება კერძო გამომცემლობისა და სახელმწიფო გამომცემლობის ურთიერთი დამოკიდებულების შესახებ.

5. ყოველ კერძო გამომცემლობას ნება ეძლევა,—განათლების სახალხო კომისარიატსა და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით, შეიძინოს გამომცემლობის საჭიროებისათვის ქაღალდი, სტამბის მანქანები, შრიფტი და სხვა მასალა, როგორც ადგილობრივ, ისე საზღვარგარეთ.

6 ყოველ გამომცემლობას ნება ეძლევა გაავრცელოს წიგნები თავისუფალი ვაჭრობის საშუალებით, როგორც საკუთარ საწყობებში, ისე კერძო წიგნის მაღაზიებში, თანახმად ამა დეკრეტის მე-4-ე მუხლისა.

7. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოცხადებისა.

საქართველოს სოც. საბ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე
ბ. მდივანი.

განათლების სახალხო კომისარი
რევოლიუციონურ კომიტეტის მდივანი
ალ. სადარიძე.

1921 წ. ნოემბრის 25.
ტფილისი—სასახლე.

## დადგენილება № 101

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა**

შოთა რუსთაველის თეატრის შესახებ.

საქართველოს დიდებული მგოსნის შოთა რუსთაველის ხსოვნის აღსანიშნავად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. სახელმწიფო დრამის თეატრს (ყოფილი არტისტიული საზოგადოების თეატრი) ეწოდოს „შოთა რუსთაველის თეატრი.“

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მის გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე
ბ. მდივანი.

განათლების სახალხო კომისარი
დ. კანდელაკი.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. სადარიძე.

1921 წ. ნოემბრის 25.
ტფილისი—სასახლე.

## დადგენილება № 102

**საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.**

სანავთსადგურო მილიციის დაარსების შესახებ.

1. დაწესებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ნავთსადგურების ტერიტორიის დასაცავად სანავთსადგურო მილიცია.

2. სანავთსადგურო მილიციის მოწყობა დაევალოს მთავარი მილიციის უფროსს, საზღვაო ტრანსპორტის [illegible] საქართველოს უფროსთან შეთანხმებით.

3. სანავთსადგურო მილიციის და მისი შტატის შესანახავ [illegible] ბის გაღება [illegible] სახალხო კომისარიატის, საზღვაო ტრანსპორტის [illegible] მილიციის უფროსების წარდგენის თანახმად.

4. სანავთსადგურო მილიციის მოწყობა განხორციელებულ იქნეს ერთი კვირის განმავლობაში.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე
ბ. მდივანი.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი.
ალ. სადარიძე.

1921 წ. ნოემბრის 25.
ტფილისი—სასახლე.

## თეატრი და ხელოვნება

**„უგვირგვინო მეფენი“.**

ხუთშაბათს 24 ნოემბერს პირველად ამ სეზონში ქართულმა დრამამ დასდგა ალ. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი“.

„უგვირგვინო მეფენი“ თუ ტექნიკურად მოისუსტებს და მას აკლია ძალთა შეჯახება, სამაგიეროდ მასში არის კარგი ინტრიგა, კარგი შინაარსი, რომლის კანვაზე გაბმულია საინტერესო მომენტები. ალ. შანშიაშვილს ზოგიერთი ადგილები ძლიერი კალმით აქვს დაწერილი და შადიმან ბარათაშვილის სახე ხომ ისეა გამოკვეთილი, რომ მართლაც ღირსია შექსპირის იაგოსთან შედარების. ამას ზედ დაურთეთ შანშიაშვილის მშვენიერი ლექსი და ცხადად გახდება ის ინტერესი, რომელსაც იგი იწვევს ჩვენს საზოგადოებაში.

ამ საღამოს ძალიან მოგვეწონა მსახიობი მ. ჭიაურელი. პლასტიური მიხვრა—მოხვრა, მშვენიერი ხმის მგერა, მოხდენილი და თავისუფალი თავდაჭერა სცენაზე, უსათუოდ ესტეტიურად განცდილი და შეთვისებული ახალგაზდა მსახიობს მაყურებლის თვალში დიდი ფასი ედება. ეტყობა ჭიაურელი მუშაობს და დიდი წარმატებაც ეტყობა.

გრაციული ფიგურა მოგვცა თამარა ჭავჭავაძემაც. უკანასკნელ მოქმედებაში შადიმან ბარათაშვილის მზაკვრობის გამხილების წინ დიდი დრამატიზმიც გამოიჩინა. ამის შემდეგ შეიძლება მსახიობ ქალმა კარგი დრამატიული როლებიც აიღოს, ამის თავდებია მისი დრამატიული განცდა ლირიზმით [illegible].

მოისუსტებდა გამბაშიძე გიორგი სააკაძეს შემსრულებელი, მართალია მსახიობს ჰქონდა ახოვანება, მაგრამ მისი გარეგნობა უმოძრაოა. მასში არ არის ტანის პლასტიური რხევა, ხმაც ჯერ სათანადოდ ვერ აქვს შემუშავებული. მაღალი რეგისტრების აღება უძნელდება, საერთოდ გიორგი სააკაძე ისედაც ავტორს მკრთალად ჰყავს ასახული და მისი განსახიერებაც სცენაზე დიდ სიძნელეს წარმოადგენს.

კარგი იყო კორიშელის შადიმანი. მსახიობს ამ როლისთვის მშვენიერი ტრაქტოვკა აქვს შემუშავებული. შადიმან ბარათაშვილის შემსრულებელი ჯერ კორიშელია და შეიძლება ითქვას კიდეც რომ მსახიობს ჯერ არც ერთი როლი არ განუსახიერებია არტისტიულად ისე როგორც შადიმან ბარათაშვილი.

პიესა დასდგა „ა. ფალავამ. ხალხი დიდი ყურადღებით უსმენდა პიესას.

ხკამი № 51.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

**დაკარგე** ტფილისის სადგურზე 11 ნოემბერს რკ. გზის სასურსათო წიგნაკი № 28565 და პარადობის მოწმობა № 9 ივანე სერგოს ძე ბაჩუაძის სახელობაზე, გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად. 112

კბილის ექიმი
**Ი. Ზ. ხარებავა ბაქრაძე**
იღებს ავადმყოფებს, ყოველ დღე დილის 9—2 და საღ. 4—6-დე ექიმობა, პლომბები ხელოვნური კბილები. მუშტაიდის შეს. № 4.
109

ყოფ. გიმნაზიის გამგე და დამაარსებელი მათემატიკის მასწავლებელი
**ივ. მ. მაჩაიძე**
**ამზადებს მოწაფეებს**
ყველა ტიპის სასწავლებელში შესასვლელად. აგრეთვე იძლევა გაკვეთილებს არითმეტიკ. ალგებრაში, გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში, რუსულ-გერმანულ, ფრანგულ და ლათინურ ენებში.
მისამართი: პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25/5
ნახვა 4—7 საათ. (იკითხეთ კანდიტერში). 108